<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ დამატების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 271^3 მუხლი:

„მუხლი 271^3

1. 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ იმ პარლამენტის წევრებს, რომელთაც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდათ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ მათი ადგილმონაცვლეების უფლებამოსილება არ არის ცნობილი, უფლება აქვთ 2010 წლის პირველ იანვრამდე უფლებამოსილების ცნობის თაობაზე განცხადებით მიმართონ პარლამენტის თავმჯდომარეს.

2. განცხადება 3 დღის ვადაში განსახილველად გადაეცემა შესაბამის კომიტეტს, რომელიც ერთი კვირის ვადაში განიხილავს განცხადებას და შესაბამის დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

3. კომიტეტის დასკვნის საფუძველზე უფლებამოსილების ცნობის თაობაზე პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას დადგენილებით.“

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამეტნის
თავმჯდომარე

დავით ბაქრაძე